GREEN CLIMATE FUND

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

შვედეთი
Sverige

UNDP

# კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში

# საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ მიზანია, უზრუნველყოს კლიმატთან დაკავშირებული რისკების შემცირება, პრევენცია და მზადყოფნა.

პროგრამა მოიცავს საქართველოს 11 მდინარის - ენგურის, რიონის, ჭოროხი-აჭარისწყლის, სუფსას, ნატანების, ხობის, კინტრიშის, ხრამი-ქციას, ალაზნის, იორის და მტკვრის აუზს და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილებით განპირობებულ ისეთ მრავალმხრივ საფრთხეებზე, როგორებიც არის წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, სეტყვა, გვალვა და ძლიერი ქარი.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე, რომლებიც მიმართულია მოწყვლად თემებში წყალდიდობების რისკების შესამცირებლად. თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტისათვის შემუშავებულია საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი.

## რას წარმოადგენს საჩივრების მართვის მექანიზმი?

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზანია საქართველოს მოსახლეობის მაქსიმალური დაცვა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან და ამით ადამიანების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ შესაძლოა დროებით დისკომფორტი შეუქმნას ადგილობრივ მოსახლეობას ან ცალკეულ შემთხვევებში, უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ცალკეულ პირებზე ან მოსახლეობის ჯგუფებზე. მსგავსი შემთხვევები შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზიანი, ხმაური, საგზაო საცობები და სხვა.

სამშენებლო პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი შესაძლო დავების, პრეტენზიებისა და საჩივრების სწრაფად, ეფექტურად და დროულად მოგვარებისთვის გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) შეიმუშავა საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც ორგანიზაციის სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა.

საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი არ ცვლის სამართლებრივ პროცესს. ზოგიერთი საჩივარი შეიძლება პირდაპირ საქართველოს სასამართლოს წარედგინოს. ამ შემთხვევაში, აღნიშნული პროცედურა წარიმართება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

## ვის შეუძლია საჩივრის შეტანა?

ნებისმიერ პირს, ჯგუფს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია დაუკავშირდეს გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) და მის კონტრაქტორ სამშენებლო კომპანიებს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით მოსაზრების გასაზიარებლად ან/და საჩივრის შეტანის მიზნით.

## ვის და როგორ უნდა მიმართოთ?

საჩივრების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ყველა საჩივარი ან/და პრეტენზია, რომელიც შეეხება მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს, შეიძლება მიღებულ იქნას სიტყვიერად, ტელეფონით, საჩივრების საფოსტო ყუთის მეშვეობით, ან მშენებლობის კონტრაქტორისთვის გაგზავნილი წერილის სახით. საჭიროების შემთხვევაში, საჩივრის წარმდგენს შეუძლია მოითხოვოს კონფიდენციალურობა.

წერილობითი საჩივრის ფორმა, საჩივრების საფოსტო ყუთის შესახებ ინფორმაცია და მშენებლობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის საკონტაქტო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება: 1) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობებში, 2) თითოეული სამშენებლო ობიექტის შესასვლელში.

## რას უნდა ელოდოთ საჩივრის წარდგენის შემდეგ?

საჩივრების შესახებ ინფორმაციის მიღება: პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ოფიცერი აღრიცხავს ნებისმიერ მიღებულ საჩივარს (მათ შორის სიტყვიერი/ზეპირი სახით) საჩივრების რეესტრში. რეგისტრირებული საჩივრის ასლი გადაეცემა მომჩივანს.

საჩივრის მიღებისათვის საჭიროა მომჩივანმა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი, გვარი, საფოსტო მისამართი და შემდგომი კომუნიკაციის სასურველი ფორმა (ტელეფონი, ფოსტა), რათა შესაძლებელი იყოს მომჩივანთან დაკავშირება;
- საჩივრის საგანი (პროექტთან დაკავშირებული საკითხის/პრეტენზიის/საჩივრის დეტალური აღწერა).

**შენიშვნა:** საჩივარი არ დარეგისტრირდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ საჩივარს აკლია რაიმე საჭირო ინფორმაცია, ან ცალკეული საკითხი საჭიროებს განმარტებას. ასეთ შემთხვევაში, მომჩივანს მიეცემა დრო, რათა დააზუსტოს ინფორმაცია.

საჩივრის მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მომჩივანს მიეწოდება ინფორმაცია საჩივარის მიღების შესახებ.

## საჩივრების გადაწყვეტის I ეტაპი:

I ეტაპი მოიცავს საჩივრის არაოფიციალურ, ზეპირ განხილვას საჩივრის ინიციატორსა და მესამე მხარეს შორის (მაგ. სამშენებლო კომპანია). ამ ეტაპზე, საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს არაუმეტეს 20 სამუშაო დღის ვადაში. თუ საჩივრის დაკმაყოფილება მოლაპარაკების გზით ვერ ხერხდება, საჩივრის განხილვა გადადის მეორე ეტაპზე.

## საჩივრების გადაწყვეტის II ეტაპი:

შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, მუნიციპალიტეტში შეიქმნება საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი, რომელიც საჩივარს განიხილავს და რეაგირებას მოახდენს. საჩივრებზე რეაგირება მოხდება არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი ჩაატარებს საჭირო შეხვედრებს დაზარალებულ მხარესთან/მომჩივანთან და გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ოფიცერთან, რის შედეგადაც შეეცდება ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაღები გადაწყვეტა გამონახოს.

დაზარალებულ მხარეს წინასწარ ეცნობება შეხვედრების დროის, თარიღისა და ადგილის შესახებ.

საჩივრის განხილვის შემდეგ, გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ოფიცერი მომჩივანს წერილობითი ფორმით შეატყობინებს საჩივრებზე რეაგირების კომიტეტის გადაწყვეტილებას.
თუ მომჩივანს არ დააკმაყოფილებს საჩივრებზე რეაგირების კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილება, მას შეუძლია დავა სასამართლოში გააგრძელოს.

საჩივრის დაფიქსირება ასევე შესაძლებელი იქნება სიტყვიერად, ტელეფონისა და/ან ელ. ფოსტის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, მომჩივანმა უნდა მიმართოს შემდეგ საკონტაქტო პირს:

+995 599193091 mariam.bakhtadze@yahoo.com

მარიამ ბახტაძე, გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ოფიცერი.

*,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“*

გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ოფიცერი უზრუნველყოფს საჩივრის დროულად განხილვას საჩივრის ინიციატორთან, მშენებელ კომპანიასთან და საჭიროების შემთხვევაში, სხვა მხარეებთან შეთანხმებით. ამისათვის შექმნილია საჩივრების გადაწყვეტის ორეტაპიანი პროცედურა.